ერთი დღე-ღამის განმავლობაში ვენაში კვლავ მძვინვარებდა ქარ-ბუქი. შეწყდა ტრამვაის, ავტობუსების და ტაქსის მოძრაობა. ვენის მაგისტრატმა მოწოდებით მიმართა მოსახლეობას, რომ არ ისარგებლოს ავტომანქანებით, რათა თავიდან აიცილონ ქაოსი საქალაქო მოძრაობაში.

ლეციის „დაუვარცხნელი აზრები“

სტანისლავ ლეცს, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პოლონელ სატირიკოსს, კარგად იცნობენ არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც. იგი ათეულობით სატირული ლექსების არაერთი კრებულისა. მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდა ლეცის „დაუვარცხნელ აზრებს“ — აფორიზმებისა და პარადოქსების სატირიკულ ციკლს. თავის „აზრებს“ მწერალი უკვე რამდენიმე წელიწადია აქვეყნებს პოლონეთის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ამ „აზრებში“ ავტორი ხშირად ეხება ლიტერატურისა და შემოქმედების საკითხებსაც.

უყვარდა მწერალი თავისი ტვიგონების ნაწარმოებებში ქნდება.

იოცნებე დიდნის გვირგვინზე, მაგრამ სხვისი თავით კი არა.

სატირიკოსებმა თავიანთი მახვილი ხშირად უნდა ალესონ ხოლმე სიბრძნის ქვაზე.

მწერალი, რომელიც სიღრმეში ჩაწვდომას არ ცდილობს, შესანიშნავად დაცურავს ზედაპირზე.

ვაშინგტონის მანევრები

ოვალეთა გულაცდილოგა

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). სპეციალური სამხედრო ტრიბუნალი კვლავ განიხილავს 1962 წლის 22 აგვისტოს დე გოლის სიცოცხლის ხელყოფის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ჯგუფის საქმეს. მხილებულნი სრულებითაც არ ფარავენ თავიანთ შეხედულებებს და აშკარად აცხადებენ კავშირს ოფიციალურ წრეებთან.

შეთქმულთა ხელმძღვანელმა პოდპოლკოვნიკმა ბასტიენ-ტირიმ აშკარად განუცხადა მოსამართლეებს, რომ ხელყოფის მონაწილენი „სრულიდაული პრივ ყველაფერში ტიელულ გენერალებთან“ ესე იგი სამხედრო პუტჩების მსჯავრდებულ მეთაურებთან სალანთან, ჟუოსთან, შალთან, ზელერთან და სხვებთან, რომლებიც ამჟამად დამატიმრებული არიან ქალქ ტიულში.

მან აგრეთვე თქვა, რომ ამჟამად „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ბევრ მომხრეს და აქტიურ წევრს საფრანგეთში ოფიციალური თანამდებობანი უკავიათ, ძლიერ წინააღმდეგობას უწევს არსებულ რეჟიმს. ბასტიენ-ტირიმ, კეჩქოლი, განაცხადა, რომ ფინანსურ სანაცვლებს საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია „მთავრობის ფონდებიდან“ ღებდა.

სამწუხაროა, რომ პოეტს ამ სურვილის განხორციელება არ დასცალდა.

ამასვე წინათ

ლონდონში მოწყობილ ერთ-ერთ აუქციონზე ძვირფას ხელნაწერებსა და წიგნებს შორის აღმოჩნდა შესანიშნავი ინგლისელი პოეტის **პერსი ბიში შელის** უცნობი ლექსების წიგნაკი. იმ სამი ათასი სალექსო სტრიქონიდან, რომლებიც პოეტს ამ წიგნაკში შეუტანია, ორი მესამედი არასოდეს არ დაბეჭდილა და არ გამოქვეყნებულა.

ფიქრობენ, რომ ეს არის პოეტის ერთ-ერთი პირველი უბრა წიგნაკი და 1812 წელს უნდა ეკუთვნოდეს.

ამჟამად ფირმამ ამ აუქციონზე შეიძინა ირლანდიელი პოეტის თომას მურის **87** წერილი, რომლებიც მურს შელის ქვრივისათვის — მერი შელისათვის გაუგზავნია.

შესანიშნავი ცხენები...

ეშმაკმა პოლონელებმა მოატყუეს კაზაკები, შეაბრძოლეს თურქებს და თვითონ კი კაბაკთა მიწის ხელში ჩაგდება განიზრახეს. განზრახულებულმა ტარას ბულბამ ჯერ ქოხორი შეიერთა, მერე სახლი დაწვა და წავიდა, მაკის შეუტრთდა.

ტარასს სანლი აღარა აქვს, მაგრამ ჰყავს ორი ვაჟი, რომლებსაც კიევის უნივერსიტეტში გზავნის, ვინაიდან კეთილი მამაა. ეს უნივერსიტეტი უკრაინის სიტყვა როკა, იქ ერთად სწავლების მოწონაღმდეგე ახალგაზრდა პოლონელები სდევნიან ძმებს ბულბებს.

ამასობაში გუბერნატორის მშვენიერ ასულს შეუყვარდება ტონკი კურტისი, — წამდვილი ზაპოროჟიელი! — და ეს სიყვარული არეკ-დარეკს ყველაფერს. მელიტი კიბილშობილი მამა — ამ შემთხვევაში იცელ ბრანერი — აღშფოთებულა: ომი, ომის!

ცხენოსანთა არაერთი შეტევა, მწყობრი ბრძოლა, გმირული სიკვდილი. კაზაკები იმარჯვებენ. გუბერნატორის ასულს ისღა დარჩენია, რომ აქეთინეღეს: მშვენიერი კურტისი კვდება, მარხავენ.

ეს უნერო ფილმი დადგა ლი ტომპსონმა, რომელიც თავის დასაბუდ ამოცანას ძალიან დაუდევრად მოკიდა. ფერები და პანორამები. არაფრისმთქმელი ტრიუკები და შესანიშნავი ცხენები, მოხმობილები გულუბრყვილობით აღბეჭდილი სცენარი სიშორეთა ძალუძს ამ ცხენებს როგორც უნდათ ისე ირბინონ. ამას მოითხოვს ჟანრი. სამაგიეროდ აღარც მაყურებელი უყენებს რაიმე მოთხოვნას.

მთები, გელები და დანარჩენი ლანდშაფტი არგენტინისაგან უკრაველებიათ.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ავიამგზავრებელი ბომბდამშენი, რომელსაც ორი ამერიკელი მფრინავი მართავდა, ჩამოვარდა, როცა მცველავი ფრენით ცეცხლს უშენდა სამხრეთ-ვიეტნამელ პარტიზანებს 200 კილომეტრზე საიგონის სამხრეთით. ორივე ამერიკელი მფრინავი და ნგოდინდიემელი. „მეთვალყურე“ დაიღუპნენ.

□ ქიმიურ ქარხანა „ნალჩიკში“, ქალაქ ფრიბორტის მახლობლად (ტეხასის, შტატი, ამერიკის შეერთებული შტატები) მოხდა აფეთქება. დაზარალდა 10 კაცი. აფეთქების მიზეზები ცნობილი არ არის.

□ ორასზე მეტი კაცი დაიმარხა ქალაქ გრანადილას მუნიციპალურ შენობაში ესპანეთის კუნძულ ტენერიფეზე (კანარის კუნძულები). როცა დაინგრა ამ ძველი შენობის სახურავი. დაიღუპა ოცი კაცი, ორასი — დაშავდა.

□ ინდოეთის უტარ პრადეშის შტატში გაძლიერდა ყვავილის ეპიდემია, რომელიც გასული წლის ნოემბერში დაიწყო. ოფიციალური მონაცემებით, 1 იანვრიდან — 26 იანვრამდე შტატში გარდაცვალა 604 კაცი. (საკდესი).

მაკმილანს წინადადებას აძლევენ გაღადგეს

ლონდონი, 4 თებერვალი. (საკდესი). მემარჯვენე კონსერვატორთა ჯგუფმა გამოაქვეყნა მემორანდუმი, რომელშიც წინადადებას აძლევს მაკმილანს უარი თქვას კონსერვატორული პარტიის ლიდერის პოსტზე, წერს გაზეთი „გარდიანი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ მემორანდუმს კონსერვატორებმა შეიმნეს კლუბი „ბანერი კლაბი“, რომლის მფარველები არიან პარტიაში მეტად გავლენიანი მარკბი სოლსბერი და ლორდი ბოდ ოფ მერტონი.

რატომ მიიჩქარის კარსტენსი ვაშინგტონში

ბონი, 4 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი იუწყება: დღეს სასწრაფო წესით გაშინგტონში მიფრინავს ფედერაციული გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მფრანი კარსტენსი. იგი მოლაპარაკებას გამართავს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ იუწყება, მოლაპარაკების დროს განიხილავენ პრობლემებს — „ამერიკა-დასავლეთ-გერმანიის ურთიერთობა მას შემდეგ, რაც პარიზში ღაღდო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის ხელშეკრულება და მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა ბრიუსელის მოლაპარაკება ინგლისის შესვლის შესახებ „საერთო ბაზარში“.

ოფიციალური ბონის წარმომადგენლები იძულებული არიან ახლა აღიარონ, რომ ამ ამბებმა ვაშინგტონის ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია.

გუშინ ჰიტლერს ემსახურებოდნენ, დღეს კი — ადენაუერს

რომი, 4 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

პოლიტიკური გათამაშება დასავლეთ ევროპაში კვლავ მძვინვარებს. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ინგლისის პრემიერ-მინისტრის მაკმილანისა და იტალიის მთავრობის ხელმძღვანელების მოლაპარაკებებიდან, რომელიც ეს-ეს არის დამთავრდა რომში.

მაკმილანი, რომელსაც თან ახლდა მეთაური ინგლისის დელეგაციისა ბრიუსელის მოლაპარაკებაზე ჰეტი, შეხვდა იტალიის პრეზიდენტს სენის, პრემიერ-მინისტრს ფანფანისა და საგარეო საქმეთა მინისტრს პიეროლის. „ეკონომიური ფოლადის უძლიერესი ტრესტები, —რომლებიც ჰიტლერის ზურგსუკან მოქმედებდნენ, დღეს ადენაუერის ზურგსუკან მოქმედებენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკა კვლავ მიმართულია მთავარი ჰიტლერული გზით — დრანგ ნახ ოსტენ. მას ახასიათებს რევანშის ანტისაბჭოთა ჯვაროსნული ლაშქრობების მანია, ევროპაში ბატონობისადმი მისწრაფება“.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ესესმე რაიხის პირდაპირი მემკვიდრეა“.

შემდეგ ჟურნალი წერს: „ჩვენ მზად ვართ კვლავ ვიღიოთ ხელში შაშხანები, რათა ხელი შევუშალოთ ჰიტლერის მემკვიდრეებს მესამედ დაიწყონ აგრესია ევროპული ცივილიზაციის წინააღმდეგ. ჯერჯერობით კი ჩვენი შრომის ყველა იარაღს — ფანქრიდან კინოკამერამდე — გამოვიყენებთ იმისათვის, რომ მორალური დაბრკოლება შევუქმნათ გერმანულ რევანშიზმს.

„ჩვენ მოგვიწია, რომ სახიროა გავშარაჭოთ სერიოზული იდეოლოგიური, პროპაგანდისტული, პოლიტიკური მუშაობა, რათა ყოველ წუთს მოვაგონებდეთ ევროპას, თუ რა არის ნაციზმი, და რა ღრმად გაუდგამს მას ფესვი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიწაში. მნიშვნელოვანია, რომ უკანასკნელ ომში იტალია გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა“.

ჟურნალი ამტკიცებს, რომ ფანფანი და მაკმილანი „ისწრაფვიან კვლავ ითანამშრომლონ ამ ორ ქვეყანას შორის“.

„ჩვენ ვიცით, რომ ფანფანი ბევრ რამეში ეთანხმება ადენაუერის პოლიტიკას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ჩვენი მოკავშირეა. ის ჩვენი მოკავშირეა მხოლოდ მაშინ, როცა ის ეწინააღმდეგება ადენაუერის პოლიტიკას“.

ვითარება მწვავდება

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). სპეციალური სამხედრო ტრიბუნალი კვლავ განიხილავს 1962 წლის 22 აგვისტოს დე გოლის სიცოცხლის ხელყოფის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ჯგუფის საქმეს. მხილებულნი სრულებითაც არ ფარავენ თავიანთ შეხედულებებს და აშკარად აცხადებენ კავშირს ოფიციალურ წრეებთან.

შეთქმულთა ხელმძღვანელმა პოდპოლკოვნიკმა ბასტიენ-ტირიმ აშკარად განუცხადა მოსამართლეებს, რომ ხელყოფის მონაწილენი „სრულიდაული პრივ ყველაფერში ტიელულ გენერალებთან“ ესე იგი სამხედრო პუტჩების მსჯავრდებულ მეთაურებთან სალანთან, ჟუოსთან, შალთან, ზელერთან და სხვებთან, რომლებიც ამჟამად დამატიმრებული არიან ქალქ ტიულში.

მან აგრეთვე თქვა, რომ ამჟამად „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ბევრ მომხრეს და აქტიურ წევრს საფრანგეთში ოფიციალური თანამდებობანი უკავიათ, ძლიერ წინააღმდეგობას უწევს არსებულ რეჟიმს. ბასტიენ-ტირიმ, კეჩქოლი, განაცხადა, რომ ფინანსურ სანაცვლებს საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია „მთავრობის ფონდებიდან“ ღებდა.

სამწუხაროა, რომ პოეტს ამ სურვილის განხორციელება არ დასცალდა.

გუშინ ჰიტლერს ემსახურებოდნენ, დღეს კი — ადენაუერს

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). სპეციალური სამხედრო ტრიბუნალი კვლავ განიხილავს 1962 წლის 22 აგვისტოს დე გოლის სიცოცხლის ხელყოფის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა ჯგუფის საქმეს. მხილებულნი სრულებითაც არ ფარავენ თავიანთ შეხედულებებს და აშკარად აცხადებენ კავშირს ოფიციალურ წრეებთან.

შეთქმულთა ხელმძღვანელმა პოდპოლკოვნიკმა ბასტიენ-ტირიმ აშკარად განუცხადა მოსამართლეებს, რომ ხელყოფის მონაწილენი „სრულიდაული პრივ ყველაფერში ტიელულ გენერალებთან“ ესე იგი სამხედრო პუტჩების მსჯავრდებულ მეთაურებთან სალანთან, ჟუოსთან, შალთან, ზელერთან და სხვებთან, რომლებიც ამჟამად დამატიმრებული არიან ქალქ ტიულში.

მან აგრეთვე თქვა, რომ ამჟამად „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ბევრ მომხრეს და აქტიურ წევრს საფრანგეთში ოფიციალური თანამდებობანი უკავიათ, ძლიერ წინააღმდეგობას უწევს არსებულ რეჟიმს. ბასტიენ-ტირიმ, კეჩქოლი, განაცხადა, რომ ფინანსურ სანაცვლებს საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია „მთავრობის ფონდებიდან“ ღებდა.

სამწუხაროა, რომ პოეტს ამ სურვილის განხორციელება არ დასცალდა.

კომუნისტი
მე-8 გვერდი, ოთხშაბათს,
6 თებერვალს, 1963 წ.

კარდეოლოგიური კონფერენცია

ლენინგრადი, 4 თებერვალი. (საკდესი). გაიმართა პირველი სრულიად საკავშირო კარდეოლოგიური კონფერენცია, რომელმაც განიხილა გულის და სისხლძარღვთა დაავადების, განსაკუთრებით გულის უეცარ მძიმე სენის—მიოკარდის ინფარქტის თავიდან აცილების პრობლემები. კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა. კონფერენციაში მონაწილეობდა დაახლებით 500 თავალსაჩინო მეცნიერი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. ლ. მიასნიკოვმა, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა მეცნიერების უკანასკნელი წლების კვლევის შედეგები. მეცნიერმა ბაზგასმით აღნიშნა, რომ ორგანიზმის ნერვული სისტემის ფუნქციონალური დარღვევა ამ სენის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

თეროსკლეროზის პროფილაქტიკის თანამედროვე მეთოდები და საშუალებები დაახასიათა ს. მ. კირთის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროფესორმა ზ. მ. ზოლინსკიმ.

დიდი ინტერესი გამოიწვია აკადემიკოსის სოციალისტური შრომის გმირის პ. ნ. ბაკულევის მოხსენებამ მკურნალობის კრიტერიუმი მეთოდების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს გულის სისხლით მომარაგება მიოკარდის ინფარქტის დროს. აკადემიკოსმა ბაკულევმა გაარკვია ჩვენი ქვეყნის სამკურნალო დაწესებულებებში გაეთებული 1.500 ასეთი ოპერაცია და აღნიშნა, რომ დამაკმაყოფილებელ შედეგებით დამთავრდა ოპერირებულთა 84 პროცენტის მკურნალობა.

კონფერენციის გადაწყვეტილებით შექმნილია სრულიად საკავშირო სამეცნიერო კარდეოლოგიური საზოგადოება. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. ე. ლუკომსკი, კარდეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრებად — თავლსაჩინო სპეციალისტები აკადემიკოსები ნ. ნ. ანიჩკოვი და ა. ნ. ბაკულევი, სსრ კავშირის მეცნიერების მედიცინის აკადემიის ნამდვილი წევრები ბ. ნ. სპირანსკი, ვ. ნ. შინოგრადოვი, ჯ. ა. კუპრიანოვი, ნ. ნ. საკიცკი, ვ. ფ. ზელენინი.

მინისტრ დატარის აღიარება

დელი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც ყოველკვირეული „ნიუ-ეიჯი“ იუწყება, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მინისტრმა ბ. ნ. დატარმა სახალხო პალატის უკანასკნელ სესიაზე დეპუტატთა მიერ დასმულ კითხვებზე პასუხად განაცხადა, რომ „ინდოეთის თავდაცვის კანონის“ საფუძველზე ინდოეთში დაპატიმრებულია 910 კაცი, მათ შორის 769 კომუნისტი. დაპატიმრებულთა შორის არიან აგრეთვე სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის წევრები და კომპარტიის თანამგრძნობნი. დატარმა აღნიშნა, რომ ამჟამად უკვე განთავისუფლებულია 169 კაცი.

ოსეთის ასსრ

ორჯონიკიძე, 4 თებერვალი. (საკდესი). ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბიაზროვმა წაიკითხა მოხსენება ასსრ ეკონომიური და კულტურული მშენებლობის 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტოგოშვილმა წაიკითხა მოხსენება ასსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტოგოშვილი, ასსრ ფინანსთა მინისტრი ა. ბიაზროვი, ასსრ ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

განძის მჯრები

ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა წიგნთსაცავები, ბიბლიოთეკები. წლითიწლობით იზრდება მათი ფონდი. სამწუხაროდ, ზოგიერთი გულქვა მკითხველი ბარბაროსულად ანადგურებს, იტაცებს და ითვისებს ძვირფას, უნიკალურ საუნჯეს.

დროა ვიღონოთ რამე, რომ გადავარჩინოთ მრავალი ათეული წლის მანძილზე შექმნილი ეროვნული საგანძურები. საჭიროა ვამხილოთ განძის მტრები, გავამახვილოთ საზოგადოებრივი აზრი სახალხო სიმდიდრის უმოწყალოდ გამნადგურებელთა წინააღმდეგ.

ამ მტკივნეულ საკითხს ეხება პროფესორ იასე ცინცაძის წერილი, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება.

ძვირფასო მკითხველებო, წიგნის მეგობრებო, მოგვაწოდეთ თქვენი აზრი, მიიღეთ მონაწილეობა „წიგნებზე მონადირეთა“ მხილებაში.

□

თბილისი საქართველოს კულტურული ცენტრია. აქ არის თავმოყრილი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა უმრავლესობა, აქეა უმდიდრესი წიგნსაცავები და სახალხო ბიბლიოთეკები.

რევოლუციამდელ ჩვენს მოღვაწეებს ძველი საქართველოს ტრადიციები გაუგრძელებიათ და მე-19-20 საუკუნეთა მანძილზე ნაბეჭდი მასალის ძვირფასი საგანძურები შეუქმნიათ, თბილისი ამ მხრივ დარიბად არ გამოიყურება. დრო გადის და ჩვენი წიგნთსაცავები ახლად გამოცემული წიგნებითა და უურნალ-გაზეთებით ივსება. ჩვენი ბიბლიოთეკები ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და სიამაყეა.

სიბარულით, სიყვარულით შესცქერის ჩვენი ქვეყნის ყოველი გულშემატკივარი ახალგაზრდობით გავსებული ჩვენი ბიბლიოთეკების სამეცადინო ნაგიერ და ნათელ დარბაზებს. ათასები იწრთობიან და ყალიბდებიან...

შემცდარი ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ბიბლიოთეკების დაცვა და ამ სიმდიდრის მომავალი თაობებისათვის უკლებლად გადაცემა მარტო შენობებისა და თანამშრომლების საქმეა. ამ საგანძურების დაცვა უმთავრესად წიგნის მკითხველ მოქალაქეზეა დამოკიდებული.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ბიბლიოთეკებში? ნათქვამია, ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო. მდგომარეობა მეტად ცუდია და არა მარტო იმის გამო, რომ ბიბლიოთეკის კუთვნილი წიგნების მოქალაქეთა მიერ მითვისების ცდის არაერთ შემთხვევას აქვს ადგილი, არამედ გაჩნდა მოქალაქეთა ერთი კატეგორია, რომელიც დანით თუ სხვა მახვილი იარაღით შედის ამა თუ იმ ბიბლიოთეკის სამეცადინო დარბაზში, გამოითხოვს მისთვის საჭირო წიგნს თუ პერიოდულ გამოცემებს და აქედან ამოკვეთს მისთვის საინტერესო გვერდებს, ზოგჯერ მთელ თავებს, უურნალებიდან და გაზეთებიდან — მთელ სტატიებს და მიაქვს სახლში. ამ სახით განადგურებულია არაერთი ასეული წიგნი და უურნალ-გაზეთი. ჩვენი უნივერსიტეტის წიგნთსაცავებში სახელმძღვანელო წიგნებიდან მთელი თავებია ამოკრილი, ასევე დაზიანებულია პერიოდული გამოცემები.

კ. მარქსის სახელობის საკარო ბიბლიოთეკაში დაზიანებული აღმოჩნდა 1894 წლის „მოამბის“ კომპლექტი. ამოკრილია ილია ჭავჭავაძის სტატიები.



სტუდენტობას და მოწაფეობას იკამოკრილი თავები და სტატიები არ ესაჭიროებოდა. ამ ცუდი საქმის ჩამდენთა შორის არიან ქალიშვილები, ვაჟები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები, განურჩევლად სქესისა, ასაკისა. ცოდნისა და ეროვნებისა. ისინი ანადგურებენ ეროვნულ საგანძურებს.

ქართველი ახალგაზრდობის უმრავლესობა ასე უდიერად როდი ეპყრობა წიგნსაცავებს, მაგრამ ათას კაცში რომ ერთეულებიც მავნებელი აღმოჩნდნენ, სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ უმდიდრესი ბიბლიოთეკა წიგნებისა და უურნალ-გაზეთებისა ცარიელი ყდების საწყობად გადაიქცეს დროის გარკვეულ მანძილზე.

ჩვენ გვყავს შესანიშნავი, მომზადებული, გულსხმიერი, უაღრესად თავაზიანი, თავისი დაწესებულების გულმხურვალეთ მოყვარული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები და მათი ხელქვეითი თანამშრომლები. ისინი თავგამოდებით ებრძვიან ბიბლიოთეკების მტრებს. არაერთი რაციონალური ღონისძიება დაუსახავთ მათ შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ასეთ უგუნურობასთან ბრძოლას ისინი ვერ შეძლებენ, თუ საერთო ღონისძიებები არ იქნა დამუშავებული. ჩვენი აზრით, დამნაშავენი სისხლის სამართლის წესით უნდა იქნან პასუხისგებაში მიცემული და დასჯილი.

მაგრამ ეს „სენი“ დამნაშავეთა მარტო სასჯელით, დაშინებით არ აღმოიფხვრება. ჩვენ უნდა მივმართოთ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას, მის რისხვას, პრესის საშუალებით დამნაშავეთა მხილებას. ჩვენ უნდა მივმართოთ მშობლებს, განსაკუთრებით დედებს ჩაუნერგონ ბავშვებს წიგნის სათუთად მოვლა, მისი პატივისცემა, ვისიც უნდა იყოს წიგნი და სადაც უნდა ნახოს იგი.

იასე ცინცაძე,
პროფესორი.

მოკლედ

□ **ამბროლაური.** (საქ. კორ.). პირველ ტოლაში საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. კოლმეურნე აქტივისტებმა „ფარცხთის“ მთიდან მილებით გამოყვანეს სასმელი წყალი. სოფელში დაიდგა 30 ონკანი. წყალი საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმასაც მიეღო.

□ **თელავი.** (საქ. კორ.). თელავის კულტურის სახლთან შეიქმნა სატირკო ბრიგადა, რომელსაც ესტრადის ოსტატი რობერტ ხუდადოვი ხელმძღვანელობს. სატირკო ბრიგადა კონცერტებს მართავს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებში.

□ **ბყიბული.** (საქ. კორ.). სახალხო თეატრმა მეშახტეებს მორიგ პრემიერად უჩვენა აკ. დეიძის კომედია „მეეულენი“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ნ. ჭანტურიამ, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ჭორჭოლაძემ, მუსიკა დაწერა ნ. ძნელაძემ.

ი. ნონეშვილის ლექსები აზერგაიჯანულად

ახლახან ბაქოს სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოსცა ცნობილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის ლექსების კრებული „მოპატიჟება საქართველოში“. კრებულში დაბეჭდილია პოეტის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა და რჩეული ლირიკული ლექსები.

ი. ნონეშვილის ლექსები თარგმნა გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა პოეტმა ყასიმ ყასიმზადემ.

ქუჩა—იუბილარი

ეს იყო ორმოცი წლის წინათ. 1923 წელს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის დადგენილებით ქალაქ თბილისის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალს ეწოდა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, კომუნისტური პარტიის ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი.

ლენინის ქუჩა იწყება ქართველი ხალხის გენიოსი პოეტის შოთა რუსთაველის მოედნიდან და გრძელდება წარჩტაც დლამაზ სამხედრო გზამდე. ლენინის ქუჩაზე მუდმივი სიცოცხლეა, ეს ქუჩა სოციალისტური თბილისის პირმშოა. მის განიერ ისარივით მიმართულ მაგისტრალზე და მასთან შერწყმულ ქუჩებზე მრავალი სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ნაგებობაა აღმართული.

ორმოცდაათი წლის წინათ თბილისის ეს რაიონი ერთ-ერთი ყველაზე მიუარდნილი გარეუბანი იყო. გაუვალი ტყე, თითო-ოროლა მიწური და მეტი არაფერი. დღეს ლენინის ქუჩა ახლომდებარე ქუჩები და მოედნები მოფენილია ახალი, მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით. სამეცნიერო დაწესებულებებით, ბაღებითა და პარკებით. დღეს იგი თბილისის გარეუბანი კი არა, ახალი თბილისის ერთ-ერთი მშვენება, ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალია.

რამდენიმე წლის წინათ ლენინის ქუჩას შეუერთდა თბილისის გარაზისხევი, რომელმაც გმირთა მოედანი ი. ჭავჭავაძის პროსპექტს დაუკავშირა. ქუჩის მშვენებაა სპორტის სასახლე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები და სხვ. თბილისი იზრდება. მშვენდება. იფურჩქნება. ყოველწლიურად. ყოველდღე იცვლის სახეს. შორეულ წარსულს ჩაბარდა უსწორმასწორო მტვრიანი ქუჩები. თიხით შელესილი ერთსართულიანი სახლები, პატარა, ქვაყუნილაყრილი შუაყიანი მოედნები.

თვალს ახარებს დღევანდელი ლენინის ქუჩის ნახვა.

ს. ნაციაშვილი.

* * *

სურათზე: ლენინის ქუჩა დღეს.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ოქროვანის პორტი

ტიტანთა მატჩის წინ

შედგა მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა გროსმაისტერების მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინიკისა და ამ წოდების პრეტენდენტის ტ. პეტროსიანის მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა შეხვედრის ჩატარების გეგმა.

შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალი შედგება 22 მარტს, პირველი ტური კი გაიმართება 23 მარტს. კვირაში მოეწყობა სამი პარტია. ყოველი მეორე დღე დათმობილი ექნება გადადებული პარტიების დამთავრებას.

შეჯიბრების მთავარი არბიტრია შტალბერგი (შვეიცია), თანაშემწე — გოლომბეკი (ინგლისი). მ. ბოტვინიკისა და ტ. პეტროსიანის მატჩის პარტიები მოეწყობა მოსკოვის ესტრადის თეატრში, გადადებული პარტიების დამთავრება შედგება სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

სულ გათამაშდება 24 პარტია. მ. ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად 12 ქულა სჭირდება, ტ. პეტროსიანმა კი ამ წოდების მოსაპოვებლად სულ მცირე 12,5 ქულა უნდა შეაგროვოს.

„ვილროუზის ასპარეზობათა“ ლაურეატი

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (სატასი). მოსკოველი იბორ ტერ-ივანესიანი, რომელმაც დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში დახურული სტადიონებისათვის — 8 მეტრი და 18 სანტიმეტრი,—ალიარებულია „ვილროუზის ასპარეზობათა“ ყველაზე თვალსაჩინო სპორტსმენად. მან იქ უჩვენა ეს შედეგი. საგზოთა სპორტსმენის სახელს ამოკვეთენ „ვანმაიკერის“ თასზე — „ვილროუზის ასპარეზობათა“ სპეციალურ სამახსოვრო პრიზზე. ეს თასი დაწესდა 1925 წელს. საზღვარგარეთელ სპორტსმენთაგან ამ თასზე პირველად ამოკვეთეს შესანიშნავი ფინელი მორბენლის პაავო ნურმის სახელი.

ნაკრები ემზადება

სოხუმი, (საქ. კორ.). ამასწინათ სოხუმს საწვრთნელად ეწვია სსრ კავშირის მესტენდეთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. პოკროვსკი, სპორტის ოსტატები ნ. მაქსიმოვი, ა. კაპლუნი, ვ. ზიმენკო, ო. ლოსევი, ს. კალინინი, ა. ცურანოვი, ე. გოლუბევი და ა. მოგილნი.

საბჭოთა მესტენდეები წელს მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და მსოფლიოს პირველობის გათამაშებებში.

კონკურსი საუკეთესო ნარკვევისათვის

საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობა აცხადებს კონკურსს გამოქვეყნებულ ან გამოუქვეყნებელ საუკეთესო საგაზეთო ნარკვევისათვის მრეწველობის ან სოფლის მეურნეობის თემაზე, რომელშიც აისახება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მომხდარი ცვლილებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ნარკვევის ცენტრში უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი — ახლის, პროგრესულის შემოქმედი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

კონკურსში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ უურნალისტებმა, მუშა და სოფლის კორესპონდენტებმა, გაზეთებისა და უურნალების უშტატო განყოფილებათა მუშაკებმა.

ნარკვევის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილ 7 გვერდს.

გაზეთში, უურნალში გამოქვეყნებულ ან კონკურსისათვის დაწერილ, მაგრამ გამოუქვეყნებელ ნარკვევს ავტორი უგზავნის საქართველოს უურნალისტთა კავშირის სამდივნოს (რუსთაველის პროსპექტი № 42) წარწერით „ნარკვევზე გამოცხადებული კონკურსისათვის“.

საუკეთესო ნარკვევებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი პრემიები:
ერთი პირველი პრემია — 300 მანეთი,
სამი მეორე პრემია — თითოეული 200 მანეთი,
ხუთი წამახალისებელი პრემია — თითოეული 50 მანეთი.

საკონკურსო ნარკვევებს განიხილავს ჟიური, რომელსაც საქართველოს უურნალისტთა კავშირი გამოაყოფს.

მიმდინარე წლის ივლისში გაზეთებში დაიბეჭდება განხილვის შედეგები და კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა გვარები, რომლებსაც დაწესებული პრემიები მიენიჭებათ.

გამოქვეყნებულ ან გამოუქვეყნებელ ნარკვევთა საკონკურსოდ წარდგენის ვადაა 1963 წლის 1 ივნისი. (საქდესი).

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 91-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1963 წლის 30 იანვარს ქალაქ მოსკოვში.

მოგება ხვდა სესხის თექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობით
000195	1—50	100	035837	05*)	2.500	067588	09*)	500
001125	41*)	500	035980	1—50	40	068059	39*)	500
001497	19*)	1.000	036305	1—50	40	039307	03*)	500
001507	27*)	500	036696	1—50	100	070699	29*)	500
002233	03*)	500	037585	18*)	500	070704	11*)	500
002265	1—50	40	037886	12*)	500	070847	1—50	40
004467	13*)	500	039113	23*)	500	070906	04*)	500
006964	03*)	500	039701	1—50	40	071849	1—50	40
006999	1—50	40	039992	08*)	1.000	072160	22*)	1.000
008150	35*)	500	041096	12*)	2.500	072501	1—50	40
008186	26*)	500	041307	05*)	500	072736	01*)	500
008966	50*)	1.000	041589	10*)	1.000	073090	39*)	500
009637	45*)	500	042545	20*)	500	074108	1—50	40
010372	1—50	40	042802	32*)	500	075103	38*)	500
010562	26*)	1.000	042842	1—50	40	075847	1—50	40
010865	1—50	40	042897	01*)	500	077955	43*)	500
010974	21*)	500	042965	1—50	40	078587	1—50	40
011344	1—50	40	043084	23*)	500	078612	1—50	40
011596	1—50	100	043144	31*)	500	078817	36*)	1.000
011881	25*)	500	043188	1—50	40	078877	18*)	500
014074	18*)	500	043430	1—50	100	079019	40*)	500
015482	31*)	500	043995	14*)	500	079334	1—50	40
016563	1—50	100	044298	24*)	500	079807	25*)	500
016568	04*)	1.000	044532	1—50	100	079965	31*)	500
017236	17*)	500	044915	31*)	500	080506	1—50	40
017487	1—50	40	045166	24*)	500	080822	25*)	500
018438	16*)	500	045449	12*)	1.000	080863	1—50	40
019077	1—50	40	045673	26*)	2.500	081127	11*)	500
019514	1—50	40	045958	1—50	40	081816	01*)	1.000
022706	37*)	1.000	046235	1—50	100	083421	1—50	40
023134	41*)	500	047757	1—50	100	083435	48*)	1.000
023542	1—50	40	047900	21*)	500	084352	1—50	40
023594	1—50	100	050110	38*)	1.000	085302	1—50	100
024414	1—50	40	050147	1—50	100	086066	09*)	500
025774	1—50	40	051620	16*)	500	086611	22*)	1.000
025786	1—50	100	052457	1—50	40	086731	44*)	2.500
025839	42*)	500	052812	46*)	5.000	087103	50*)	1.000
026227	1—50	100	053381	10*)	500	087371	11*)	5.000
026485	17*)	500	054104	1—50	40	088686	13*)	1.000
026504	10*)	500	054773	46*)	500	088379	18*)	500
026523	1—50	40	056631	04*)	500	089371	11*)	500
026603	33*)	500	057358	08*)	500	089888	21*)	500
026678	48*)	1.000	057568	24*)	1.000	090106	28*)	1.000
027455	27*)	500	057821	1—50	40	092320	42*)	500
027909	17*)	500	058196	35*)	500	093527	08*)	500
028177	16*)	500	059411	18*)	500	093822	40*)	1.000
028851	1—50	40	059544	37*)	500	096436	1—50	40
029920	1—50	40	059799	12*)	500	097041	16*)	1.000
029966	1—50	100	060865	47*)	500	097119	35*)	500
030416	10*)	500	061121	1—50	40	097791	02*)	1.000
030546	50*)	500	061958	45*)	500	097909	28*)	500
030766	22*)	500	062449	47*)	500	098294	1—50	40
031116	18*)	500	064294	14*)	500	099229	44*)	2.500
032438	1—50	40	064340	1—50	40	099498	1—50	40
032537	24*)	500	065107	12*)	500	099543	1—50	40
033364	1—50	40	066738	47*)	500			
033491	16*)	1.000	067294	41*)	1.000	099600	39*)	1.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ბ. კოსარევი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა

მეზანძრის მამაცობა

ჭარიანი დღე იყო. დავით გუნიას სახლში ჭალადიდელის ქუჩაზე № 34-ში მარტო დისახლისი და მცირეწლოვანი ბავშვი იყვნენ. ბავშვს ეძინა, დედა კი სოკოხახო საქმეებით იყო გართული. ღუმელში ცეცხლი რომ განელდა, დისახლისმა შიგ ნავთი შეასხა, მაგრამ ალი გარეთ გამოვარდა, კედელს მოედო. მალე ოთახი ყვითლით დაიბურა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ქალმა ყვირილი მორთო და მოქმედების უნარი დაკარგა.

ამ საბედისწერო ამბავს შეესწრო ქუჩაზე მომავალი ფოთის სახანძრო დაცვის ვეტერანი მეზანძრე მიხეილ სტეფანია. იგი ეზოში შეიჭრა, სახლის კიბე აირბინა და აღმოდებული ოთახიდან გამოიყვანა გრძნობადაკარგული დედა და ბავშვი. შემდეგ თვითონვე შეუდგა ხანძრის ჩაქრობას, რაშიაც მეზობლებიც დაეხმარნენ. ასე გადაარჩინა მამაცმა ადამიანმა ორი ადამიანის სიცოცხლე და სახლი დაწვას.

ა. კომახიძე.

ახალი მრავალსართულიანი გიგანტი



დღითიდღე უფრო ლამაზი ხდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი. ახალ ჩერიომუშკებში და ხოროშევოს გზატეცილზე, კუზმინკასა და ფილიში აღიმართა საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების მრავალსართულიანი კორპუსები. უკანასკნელ ხანს მოსკოვის სხვადასხვა რაიონში მშენებლებმა დაიწყეს მაღლივშენობათა აგება ასაწყობი ელემენტებისაგან. სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთი ასეთი შენობის მაკეტს. ეს არის 26-სართულიანი შენობა ინსტიტუტ „ჰიდროპროექტისათვის“. მოსმშენის № 4 ტრესტმა დაიწყო მუშაობა მის ასაგებად ლენინგრადისა და ვოლოკოლამსკის გზატკეცილთა შესაყართან სოკოლის რაიონში. გიგანტი შენობის სართულებზე განლაგდება საპროექტო დარბაზები.

სახლის ფართო სამსართულიან ნაწილში მოთავსდება სასადილო, კონფერენც-დარბაზი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზი, სახელოსნოები.

საკდესის ფოტოქრონიკა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

6 თებერვალი

კინო

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — ცხოვრება თავიდან, ამირანი, კოლხიდა, გაზაფხული — ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, სპარტაკი — კანონი კანონია, თბილისი — დიდი ვალსი, კომკავშირელი — ქროული, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) „სადუმლო არსენალი“, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ნაკადული — მკვდარ მარყუჟში, საქართველო (მწვანე დარბაზი) —სიკვდილმისჯილი გაიქცა, გორკის სახელობის კულტურის სახლი — სიყვარულის დაფდაფები, ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე — გზა დასავლეთისაკენ, დიდუბე — ეკვმიტანელი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), შვიდი ძიძა, კიროვის სახელობის პარკი — მამაცი ადამიანი.

თეატრები

6 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დემონი (მე-7 აბონ. მე-7 სპექტ.), რუსთაველის სახელობის — ეროსმანი (მე-15 აბონ. მე-2 სპექტ.). მარჯანიშვილის სახელობის — მე ვხედავ მზეს (აბონ. გარეშე), გრიბოედოვის სახელობის —ორნი საქანელაზე (მე-8 აბონ. მე-5 სპექტ.).

ტელევიზია

6 თებერვალი

18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ზღაპრების სკივრი“, 18.15— გადაცემა მოსწავლეთათვის — „აინთო პიონერული შუქურა“, 18.25 —დოკუმენტური ფილმი „კონ-ტიკი“, 19.45 — გადაცემა — „ხვალაც გათენდება დღე“..., 20.05— კინონარკვევი, 20.15 — საუბარი — „მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება და წარმოუბის მართვის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განვითარება“, 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — გადაცემა — „მეცნიერება — წარმოებას“, 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი „ერთგული მეგობრები“.

რადიო

7 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — ჩილის სიმღერები, 09.10 — ო. გორდელი. კანტატა „წელიწადის დრონი“, 11.15— ლევ ობორინის კონცერტი, 12.00 — გადაცემა — „ლაპარაკობს სოხუმი“, 12.15 — ს. ცინცაძის კამერული ნაწარმოებები, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.15 — კონცერტი—„ჩვენი თვითმოქმედება“, 17.30— გადაცემა მოსწავლეთათვის — „წიგნის თაროზე“, 18.10 — ლირიკული სიმღერები ქართული კინოფილმებიდან, 18.45 — რომსკი-კორსაკოვი. ესპანური კაპრიჩიო, 19.30 — საუბარი — „საბჭოთა მოქალაქის დიდი უფლებამოვალეობანი“ 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — დონიცეტი. ოპერა „სიყვარულის ნექტარი“, 23.30 — გლაზუნოვი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-50, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-48, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 05834

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 14.

2